ალბენდაზოლი 10%-ანი (Albendazole 10%)

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა: 1 მლ შეიცავს: ალბენდაზოლს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ჰიდროქსიეთილცელულოზა; ნატრიუმის მეთილ ჰიდროქსიბენზოატი; ნატრიუმის პროპელ ჰიდროქსიბენზოატი; ნატრიუმის მეტაბისულფატი; ნატრიუმის ციტრატი; ლიმინმჟავა პოლისორბატ 80; გლიცერინი

გამოშვების ფორმა: 1ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება

გამოყენების ჩვენებები

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი: ნემატოდებით, ცესტოდებით და ტრემატოდებით გამოწვეული კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი ეძლევა წინასწარი მშიერი დიეტის გარშე, ინდივიდუალურად, პერორალურად შემდეგი დოზებით:

- **ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ტრიქოსტროგილიდოზის, კოოპერიოზის, ნემატოდიროზის, ქაბერტიოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის სამკურნალოდ:**

მსხვილფეხა პირუტყვი -0,75მლ/10კგ ც.წ-ზე(7,5მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ-ზე);

წვრილფეხა პირუტყვი -0,5მლ/10კგ ც.წ-ზე (5მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ-ზე)

- **ფასციოლოზის სამკურნალოდ:**

მსხვილფეხა პირუტყვი - 1 მლ - 10კგ ც.წ-ზე (10მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ);

ჩვრილფეხა პირუტყვი - 0,75მლ 10კგ ც.წ-ზე(7,5 მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ);

- **ცხვრისა და თხის დიქტიოკაულოზის სამკურნალოდ:**

1,5მლ/10კგ ც.წ-ზე (15მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ-ზე)

გამოყენების წინ პრეპარატი უნდა შეინჯღრეს.

გვერდითი მოვლენები

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები

არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები

მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში პრეპარატის გამოყენებისას არ უნდა გადავაჭარბოთ მაკეობის პირველი თვისათვის განსაზღვრულ დოზას.

დოზების გადაჭარბებისას ინტოქსიკაცია არ ვლინდება. ცხოველს შეიძლება განუვითარდეს ანორექსია, წონაში დაკლება, მოტორული კოორდინაციის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში უნდა შეწყდეს პრეპარატის მიცემა და ჩატარდეს სიპტომატური მკურნალობა.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 20 დღის შემდეგ, ხოლო რძე - 7 დღის (14 მოწველა) შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ბეწვიანი ნადირის საკვებად. რძე გამოიყენება თერმული გადამუშავების შემდეგ ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება დახურულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ, სინათლისა და ბავშვებისაგან დაცულ ადგილას 5-20^{0}C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი: INVESA, ესპანთი.